საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-7/507
05/09/2019

507-შ-19-1-4-201909051440

საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (№შ-19-7/3461, 21.08.19.) მიმართა საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგამ (რეგისტრირებული 2013 წლის 5 აპრილს საჯარო რეესტრის მიერ, ს/კ 431169326) კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე ხელახალი ნებართვის მიღების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებული წესებით“ დადგენილი სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესის შესაბამისად, კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის გამოყოფილია „A“ კატეგორიის სახმობი ნიშანი 4L1HQ, რომლის გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს „A“ კატეგორიის რადიომოყვარული ავთანდილ ჯიქია (სახმობი ნიშანი 4L1AE).

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 47^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^5-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს საქართველოს რადიომოყვარულთა ეროვნულ ლიგას სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისათვის დანართში (თან ერთვის) მითითებული სიხშირული დიაპაზონები და სახმობი ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 (ხუთი) წლის ვადით- **2019 წლის 5 სექტემბრიდან 2024 წლის 5 სექტემბრამდე:**

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ნებართვის N	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
NA - 047	საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგისთვის	მცხეთა, სოფელი ზაქარო	4L1HQ	„A“

2. საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგა, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;

3. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგისთვის ჩაბარებისთანავე (ნ. ჯავახიძე);

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6) საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციის და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

მერაბ ქათამაძე

კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი